ინსტრუქცია

ტესტირების დაწყებამდე ინსტრუქცია წაიკითხეთ თავიდან ბოლომდე.

ოლიმპიადის პირველი ტურის გასავლელად შეგიძლიათ გამოიყენოთ ინტერნეტში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერი. სასურველია ისარგებლოთ ბრაუზერით Google Chrome („გუგლ ქრომი“) და სამუშაოდ გახსნათ მხოლოდ ერთი გვერდი. დარეგისტრირებულ მოსწავლეს აუცილებლად დასჭირდება თერთმეტნიშნა პირადი ნომერი და ოთხნიშნა სიმბოლო (პაროლი), რომელიც განთავსდება ვებგვერდზე ყოველდღიურად საგნების შესაბამისად (განრიგის მიხედვით).

ინსტრუქციის სრულად გაცნობის შემდეგ ტესტირების დასაწყებად უნდა გამოიყენოთ ქვემოთ მოცემული ბმული:

https://online.naec.ge/olimp

1. ბმულის გახსნის შემდეგ ეკრანზე გამოჩნდება ინფორმაციის შესატანი ორი ველი: „პირადი ნომერი“ და „პაროლი“.
2. ველში - „პირადი ნომერი“ შეიყვანეთ თქვენი პირადი ნომერი (თერთმეტნიშნა რიცხვი). პირადი ნომრის შეყვანის შემდეგ კი დაინახავთ საკუთარ სახელსა და გვარს.



ყურადღებით შეიტანეთ პირადი ნომერი. პირადი ნომრის ბოლო ციფრის შეტანის შემდეგ აუცილებლად უნდა დაიწეროს თქვენი სახელი და გვარი. პროლის შეტანამდე გადაამოწმეთ ეკრანზე გამოტანილი სახელი და გვარი. თუ სხვისი სახელი და გვარი დაიწერება, კიდევ ერთხელ დააზუსტეთ პირადი ნომერი.

3. „პროლის“ ველში აკრიფეთ: ვებგვერდზე განთავსებული საგნის ოთხნიშნა სიმბოლო, რის შემდეგაც გამოიყენეთ ღილაკი „დასტური“.
4. დასტურის ღილაკზე დაჭერის შემდეგ გაიხსნება პირველი დავალება სავარაუდო პასუხებით;
5. თითოეულ შეკითხვას თან ახლავს რამდენიმე სავარაუდო პასუხი, რომელთა გასწვრივ მონიშნულია წრეები. კურსორი უნდა მიიტანოთ თქვენ მიერ ამორჩეულ პასუხთან (წრესთან) და უნდა მონიშნოთ. წრეში გამუქდება წერტილი, რაც იმას ნიშნავს, რომ პასუხი უკვე მოინიშნა. ამის შემდეგ დააჭირეთ ღილაკს „დასტური“. პროგრამა შემოგთავაზებთ ახალ დავალებას. თითოეულ დავალებაზე გამოყოფილია 2 წუთი, ამასთან, ამ დროს ემატება დროის რეზერვი - 10 წუთი (კომპიუტერის ეკრანზე არის ტაიმერის აღმნიშვნელი სიმბოლო – ცისფერი ხაზი, რომლის საშუალებითაც მიიღებთ ინფორმაციას დარჩენილი დროის შესახებ). დროის რეზერვი ივსება, თუ ერთ დავალებაზე გამოიყენებთ 2 წუთზე ნაკლებ დროს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ერთ დავალებაზე იყენებთ 2 წუთზე მეტს, დროის რეზერვი იკლებს. დროის რეზერვის ამოწურვის შემდეგ თითოეული დავალება მხოლოდ 2 წუთის განმავლობაში რჩება ეკრანზე. თუკი ამ დროის განმავლობაში არ მონიშნავთ პასუხს, ეს დავალება ავტომატურად გაქრება ეკრანიდან (გაქრობამდე 12 წამით ადრე პროგრამა საგანგებოდ შეგატყობინებთ, რომ დავალებისათვის განკუთვნილი დრო იწურება), დროის ამოწურვის შემდეგ პროგრამა შემოგთავაზებთ ახალ დავალებას (წინა დავალება ჩაითვლება პასუხგაუცემლად).
6. დავალებების ამოწურვის შემდეგ ეკრანზე გამოჩნდება თქვენ მიერ მიღებული ქულა, რაც მიუთითებს, რომ ტესტირება დასრულებულია. ინფორმაცია იმის თაობაზე, გადახვედით თუ არა ოლიმპიადის მომდევნო ტურში, განთავსდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე, სპეციალურ პროგრამაში, რომლის ნახვაც შეუძლია თქვენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას;
7. თუ ტესტირებისას გაგეთიშათ კომპიუტერი, ან გაითიშა ელექტროენერგია, ან პასუხის მონიშვნის შემდეგ, დასტურის მიცემისას, პროგრამა არ რეაგირებს და დაგჭირდათ კომპიუტერის გადატვირთვა, პრობლემის მოგვარების შემდეგ პროცესი უნდა დაიწყოთ თავიდან, ანუ ბმულზე შესვლიდან. პროგრამა ავტომატურად გააგრძელებს იმ დავალებიდან, რომლის დროსაც შეწყვიტეთ ტესტირება. **ტესტირების შეწყვეტამდე შეკითხვებზე გაცემული პასუხები პროგრამულად დამახსოვრებული იქნება.**
8. **გახსოვდეთ:** ქიმიის საგნის ოლიმპიადაზე შეგიძლიათ გამოიყენოთ ხსნადობის ცხრილი და ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა, რომლის ელექტრონული ვერსიაც განთავსდება ვებგვერდზე შესაბამის დღეს.

9. თუ დარეგისტრირებული ხართ ერთ დღეს დაგეგმილ რამდენიმე საგანზე, შესაძლებელია რამდენიმე საგნის (ორივე/სამივე საგნის) გავლა თანმიმდევრობით - გამოიყენეთ ჯერ ერთი საგნის კოდი, ტესტირების დასრულების შემდეგ კი ბმულზე ხელახლა შესვლის შემდეგ, გამოიყენეთ მეორე საგნის კოდი და ა. შ. **გაითვალისწინეთ:** ბაზა ღია იქნება 9:00 საათიდან 20:00 საათამდე ორივე/სამივე საგნისათვის;
10. თუ ვერ შეძელით ტესტირების დაწყება, პირველ რიგში, გადაამოწმეთ თქვენ მიერ შეტანილი ინფორმაცია: თერთმეტნიშნა პირადი ნომერი და იმ საგნის კოდი, რომელიც დაგეგმილია ამ კონკრეტულ დღეს. თუ ინფორმაცია სწორია და მაინც ვერ იწყებთ ტესტირებას, დაუკავშირდით შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელ ხაზს: **247 33 33.**
11. პროცედურის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტის თაობაზე უფლებამოსილი ხართ, შესაბამისი ოლიმპიადის დასრულების მეორე დღის 17:00 საათამდე პრეტენზია შეიტანოთ შესაბამისი საპრეტენზიო კომისიის სახელზე (შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრში).

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი გისურვებთ წარმატებას!